ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №101

2014 წლის 23 ივლისი,
ქ. ბათუმი

„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2013-2014 სასწავლო წელს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ვადის გაგრძელებისა და შესაბამის პროგრამებზე მოწვეული პროფესორ-მასწავლებლებისათვის შრომითი ხელშეკრულების ვადის გახანგრძლივების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტისა და ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის 2014 წლის 30 ივნისის №2789 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2013-2014 სასწავლო წელს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ვადა გაგრძელდეს 2014 წლის 5 სექტემბრამდე;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭება მოხდეს 2013 წლის 8 სექტემბრიდან 17 სექტემბრამდე;
3. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მოწვეული პროფესორ-მასწავლებლებისათვის შრომითი ხელშეკრულების ვადის გახანგრძლივება 2014 წლის 5 სექტემბრამდე;
4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **ალიოშა ბაკურიძე**